საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# სამშობლო

ხუთშაბათი 29 ოკტომბერი. წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 209 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 209

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნია ორსავ თვალზედა,
როგორც დედა, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“

— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



გიორგი ვასილის ძე და ანნა მიხეილის ასული, ილიკო და გრიშა დარდაგნები და სონა ნემსაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველნი საყვარელის შვილისას, მეორენი ძვირფასის ძმისას, ხოლო მესამე დაუვიწყარის მამიდაშვილისას,

ვლადიმერ გიორგის ძის დარდაგნის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი დილა-საღამოს. მიცვალებულს გამოასვენებენ მთავარ-ანგელოზის ეკლესიიდან 29 ოკტომბერს, დღით ხუთშაბათს, წირვის შემდეგ და წაასვენებენ საფირჩხიის სასაფლაოზე დასაკრძალავათ.

გლაღოჩინი დიაკონოზი დავით ნასარიძე და მეუღლე მისი ნატალია იოსების ასული, შვილები მათი: ექიმი გრიგოლი და მეუღლე მისი ბარბალე ერასტის ასული, ვასილი, იულია და ოლღა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი ცოლის დის შვილის, მეორე დისწულის და მესამენი დედიდაშვილის

ვლადიმერ გიორგის ძის დარდაგნის.

უდროოთ გარდაცვალებას. პანაშვიდები დილა-საღამოს, მიცვალებულს გამოასვენებენ მთავარ-ანგელოზის ეკლესიიდან 29 ოკტომბერს დღით ხუთშაბათს წირვის შემდეგ და წაასვენებენ საფირჩხიის სასაფლაოზე დასაკრძალავათ.

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ბესარიონ ვასილის ძე გვახარია, შვილები: ნინო ოკუჯავასი, თამარი, ნიკოლოზი და გიორგი ბესარიონის ასული და ძენი გვახარიები, სიძე ნიკოლოზ სტეფანეს ძე ოკუჯავა, მაზლები: დავითი და პავლე ვასილის ძენი გვახარიები მეუღლეებითა და შვილებით, ძმა ალექსანდრე სპირიდონის ძე გაბუნია და და ადალო გეგეჭკორისა, ძმის შვილი იოსებ დიმიტრის ძე გაბუნია გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს გარდაცვალებას

ზესნა (იგივე ესმას) სპირიდონ გაბუნიას ასულის

გვახარიასი.

დაკრძალვა მოხდება კვირას, 1 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, საფირჩხიის სასაფლაოზე. გამოსვენება ცხედრის გოშპიტლის ქუჩაზე საკუთარ სახლიდან. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 ს. 4—1—5013

დაიბეჭდა და იყიდება ქუთაისში მთავრიშვილის და ამხ. და თბილისში სერ. კითხვის ხაზ. წიგნის მაღაზიაში

სამსონ დათეშიძის მიერ შედგენილი

„სახატავი ნიმუშები და ქართული დედანი“,

ფასი 25 კაპ. მე-4-ე გამოცემა. ეს გამოცემა საკუთრებად შეძენილია მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიისაგან. 10—4

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისთვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის ვამზადებ მოწაფეებს, ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.

მისამართი: ივანოვის ქუჩა, ზარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.

პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თვ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე

უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.

ლექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძისასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.

თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლში.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ მარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძისსახლი. თ

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 29 ოკტომბერს, შაბათს, 31 ოკტომბერს და კვირას, 1 ნოემბერს მხოლოდ სამი დღით ახალი საუცხოვო პროგრამა.

მილიონების გიპნოზის გავლენის ქვეშ.

13—14 სერია 4 ნაწილ.

ეჭვიანობა.

ძლიერი კომიკური სურათი.

ანონსი: პარასკევს, 30 ოკტომბერს, საქველმოქმედო სეანსები ქ ლთა წმ. ნინოს სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ.

მზადდება ორშაბათისთვის საჩვენებლათ მოცეკვავე შახი ტავერნისა. დრამა 6 ნ.

ქალაქი ქუთაისი. ქალაქის თეატრი.

პარასკევს, 30 ოკტომბერს, 1915 წელს გაიმართება

კონცერტი

თბილისის სახაზინო თეატრის ქართველ მომღერლისა

ნიკ. ჩიგვიანისა (ტენორი),

მონაწილეობენ: თბილისის სახაზინო თეატრის მსახიობები

ს. ი. გულკო და გამოჩენილი ვიოლონჩელისტი ქ. კოპელნიცკი.

როიალზე დაუკრავს ქ-ნი ნემეტი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

კვირას, 2 ნოემბერს, ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში,

დილის ათ საათზე, დანიშნულია ქუთ. მომხმარებელი საზოგადოების

„კოოპერაციის“ გამგეობის

და საურბნო კომისიის წევრების შეერთებული კრება. სთხოვენ ყველას აუცილებლად დაესწრონ ამ კრებას, ვინაიდან ეს კრება უკანასკნელია მომავალ საზოგადო კრებამდის. უფ.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება დაზღვევა სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყოვნებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.

რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.

თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.


## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

### უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

**პარიზი.** 25 ოკტ. საღამოს ოფ. ცნობა. ფრონტის ბევრ რაიონში მედგარი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა, განსაკუთრებით არტუაში ლოოსის სექტორსა და ქივანშის ტყეში და შემდეგ მდ. ავრის ჩრდილოეთით და ანდეშის მიდამოებში. დაბოლოს შამპანში, ტაგიურის აღმოსავლეთით და ნასიეს ჩრდილოეთით. სენმიელის ჩრდილოეთით ჩვენმა ბატარეის ცეცხლმა გერმანელების ზარბაზნები გაანადგურა. ვოგეზებში საჰაერო ბრძოლაა. შაპლოტის მიდამოებში ახლო მანძილზე ხდებოდა ბრძოლა ფუგასებითა და ყუმბარებით.

**გავრი.** 26 ოკტ. ბელგიის ცნობა. მთელს ფრონტზე სიწყნარეა.

**პეტროგრადი.** 27 ოკტ. ოფიციალური. დასავლეთის ფრონტი. მდინარის მარცხენა ნაპირზე (კურლიანდიის იქით) ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს რაიონი კემერკაპრის აღმოსავლეთით და ბევრი პატრონა და სამხედრო სურსათი ჩავიგდეთ ხელში, რომელიც გერმანელებმა დასტოვეს ბრძოლის ველზე სისწრაფით დახევის დროს. მოპირდაპირეს არტილერია მძლავრათ უშენდა ჩვენს წინა დღით ხელში ჩაგდებულ პოზიციებს ოლაის რაიონში მიტავის ჩრდილო-აღმოსავლეთით. იაკობშტადტის რაიონში ცხარე ბრძოლის შემდეგ, მდ. პიკოტერის შესართავთან ჩვენ ავიღეთ სოფელი ელუკი. დვინსკის რაიონში შტიკით ბრძოლის შემდეგ, სვონტენის ტბის დასავლეთ ნაპირზე, დავიკავეთ სოფელი უჟენიშკი. აქ ტყვეთ წამოვიყვანეთ ას კაცამდი. კამროვოს რაიონში, დ. კოლკის ჩრდილოეთით, მტერმა სამჯერ შემოგვიტია, მაგრამ შეტევა უშედეგო იყო. ჩვენი არტილერიის ყუმბარებმა ცეცხლი გაუჩინეს მტრის ტყვია წამლის საწყობებს. ზალეშკის აღმოსავლეთით ბრძოლით ავიღეთ ძლიერ გამაგრებული ტყე, რომლის გულისთვისაც მტერმა წინათ ოთხჯერ მოიტანა კონტრიერიში, მაგრამ უკუქცეული იქნა.

ბალტიის ზღვა. ინგლისის წყალქვეშა ნავმა ბალტიის ზღვის ჩრდილო-ნაწილში თენდინში დაღუპა გერმანეთის კრეისერი.

**კავკასიის ფრონტზე** ცვლილება არ მომხდარა.

## ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

### ბალკანეთი.

„ინდეპტანს რუმენი“ იუწყება, რომ საბერძნეთისა და იტალიის ურთიერთობა ამ ბოლო დროს საგრძნობლათ შეიცვალა. რომის კაბინეთი ატყობინებს მოკავშირეებს, რომ იტალია წინაამდეგია დაუთმოს საბერძნეთს კუნძულები. აგრეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე წინააღმდეგია ალბანეთის კონპენსაციისა. ერთსა და იმავე დროს საბერძნეთის პრესა აღშფოთებულია და ზედ-მეტად თვლის იტალიის ჩარევას ბალკანეთის კონფლიქტის გადაწყვეტაში.

—

რომიდან იტყობინებიან, რომ საბერძნეთში დიდძალი გერმანელი ოფიცრები მოვიდნენ. გერმანელი ოფიცრები ევროპიულ ტანთსაცმელში არიან გამოწყობილი.

—

ბულგარეთში სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს სავაჭრო გემის კაპიტანს პრუტკინს და მეზღვაურ ოფიცრებს, ლოზროვს, სურაფიმოვს და მინლოვს, რომელთაც ბრალად ედებოდათ გარუსოფილება და ბრძანების აუსრულებლობა.

—

ვარნას ყუმბარების დაშენის დროს მოკლულ იქნა ბულგარელი დეპუტატი მირსკი.

—

„ბალკანსკი კურიერი“ იტყობინება, რომ ბულგარეთის მთავრობა საბერძნეთში აგზავნის ყოველ დღე 40 ვაგონ ხორბალს, იმ პირობით, თუ მოკავშირე ჯარი არ ისარგებლებს ამ ხორბლით.

—

რუმინეთში მთავრობას განზრახვა აქვს გამოაცხადოს საალყო წესები.

—

ბიულოვის შვეიცარიაში ყოფნა იზიდავს საყოველთაო ყურადღებას. ხმებია, რომ ბიულოვი მოვიდა შვეიცარიაში ახალი მისიით. მისი მიზანია, გამართოს თათბირი ზავის შესახებ შვეციის წარმომადგენლის გრაფ ერენსვალდის შუამდგომლობით და ვატიკანის წარმომადგენლის მონსინორ მარკეტის დახმარებით.

—

ჟენევიდან იტყობინებიან, რომ ბიულოვი მოვიდა შვეიცარიაში დიპლომატიური მისიით.

—

რამდენიმე დღის წინად ფრეიბურგის მონასტერში მოხდა. ყველა ქვეყნის მაღალ სასულიერო პირთა საზოგადო კრება, რომელნიც ცდილობენ ზავის ჩამოგდებას მებრძოლ სახელმწიფოთა შორის.

—

„რუს. სლ.“ იტყობინება, რომ სპარსეთში მდგომარეობა მეტად სერიოზულ ხასიათს ღებულობს. გერმანელებისა და ოსმალების მოსვლა გძელდება. პრინციპიალურად გადაწყვეტილია შეადგინონ მრავალრიცხოვანი ჯარი, რომლის ინსტრუკტორებადაც იქნებიან კონსტანტინეპოლში სწავლა მიღებული სპარსელი ოფიცრები.

ამავე გაზეთის ცნობით, აკრძალულია ჟიტომირში შესვლა ნება-დაურთველათ.

—

„რუსკაია ვედომ.“ სიტყვით, გერმანელებს ჯერ კიდევ არ გაუნებებიათ თავი დვინის გამაგრებისა და რიგისა და დვინსკის აღებაზე. მათ მოუტანიათ მსხვილი კალიბრის ზარბაზნები, თუმცა ჯერ არ ამოქმედებენ. როგორც სჩანს, ჯერ მათი დადგმა ამ რაიონში არ დაუსრულებიათ. გერმანელების საუკეთესო მსროლელებმა მიიღეს ავტომატიური თოფები რომელიც ტყვიის მტყორცნელ თოფებით იწოდება. ჩვენს ფრონტზე გერმანელები ხმარობენ განსაკუთრებულ ტყვიას, რომელიც ტანისამოსს ცეცხლს უკიდებს.

—

„რუსკ. ვედ.“ დეპეშით ატყობინებენ, რომ გერმანელ ბოიადჟიევის ჯარი ნიშს მიუახლოვდა და მის ნაპირა ფრონტებს ზარბაზნები დაუშინა. კრაგუევაციდან უკან დახევის დროს, სერბიელებმა არსენალები ააფეთქეს.

ვენის ცნობით, კვეშის არმიამ მტერი შეავიწროვა და მილანოვაცისკენ დაახევინა.

—

„რეჩ“ რომიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ სამხედრო მინისტრსა და ვენიზელოსის მომხრე დეპუტატს შორის განხეთქილება მოხდა დემობილიზაციის საკითხის განხილვის დროს. დემობილიზაციის საკითხი მჭიდროთ შეკავშირებულია სალონიკში დესანტის გადასხმის საკითხთან. სამინისტროს კრიზისთან ერთად გაცხარებული ბრძოლა ოთხთა შეთანხმების მომხრეებსა და გერმანოფილებს შორის.

—

ლონდონიდან „ვეჩერნეე ვრემია“ ატყობინებენ დეპეშით, რომ ვარშავაში 18 ოკტომბერს არც ერთი გაზეთი არ გამოსულა, რადგანაც გერმანელებმა სამხედრო ცენზურა შემოიღეს.

### სპარსეთში.

— „რუს. სლოვოს“ ცნობით, ბერლინში დანიშნული სპარსეთის ელჩი ჰუსეინ-ნოვადა გერმანოფილია. მის დანიშვნას გერმანიის მართველი წრეები სიხარულით შეხვდნენ. იქ იმედს გამოსთქვამენ, რომ ამიერიდან სპარსეთი უფრო მეტათ დაუახლოვდება გერმანიასა და ოსმალეთს.

— „მშაკს“ ახალი ჯულფიდან სწერენ: გერმანელებმა თავიანთ საიდუმლო სამოქმედო ბაზათ ისპაჰანს ახლო მდებარე კურგანი გაიხადეს. აქ მათ ააშენეს საყარაულო და არავის არ იკარებენ. გერმანელთა ასეთი საქციელი სპარსელთა შორის მღელვარებას იწვევს. უკანასკნელები ფიქრობენ, რომ ამ კურგანზე უნდა გადასწყდეს სპარსეთის მომავალი ბედი და აქ კეთდება მრავალი ყუმბარა და ჰაეროპლანები. სპარსელები დარწმუნებული არიან, რომ გერმანელები ძველათ ქ. კირმინში (სამხრეთ სპარსეთში) ცხოვრობდნენ, აქედან გადასახლდნენ ევროპაში და შეინარჩუნეს თავისი ძველი სახელი „კერმან“ (გერმანელები). ამასთან ერთად სპარსელთ შორის გავრცელებულია ხმა, თითქო გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმ მეორემ მაჰმადის სარწმუნოება მიიღო. გერმანელები არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, რომ სპარსეთი მიიმხრონ. სპარსელებს არწმუნებენ. თუ ქრისტიანების ჯიხათი—საღვთო ომი გამოცხადდება, ისინი მათთან ერთად ჟლეტას დაუწყებენ ქრისტიანებს, ამის დასამტკიცებლათ გერმანელები სპარსულ ტანსაცმელს იცმენ, სახლში სპარსელი მოსამსახურეები ჰყავთ. სპარსელების მეჩეთები გახსნილია გერმანელებისათვის.

„არევი“ იტყობინება: ამ დღეებში თეირანში ბახტიართ ცხენოსანი რაზმი მოვიდა, რომელიც ჟანდარმთა მოვალეობას შეასრულებს, როგორც ამბობენ, სპარსეთის მთავრობას სურს შვეციის ჟანდარმები დაითხოვოს და მათ მაგიერ ბახტიარები დააყენოს.

კაშიდან გამოქცეულმა ყაჩაღთა ბრბომ სამხრეთ სპარსეთში ტელეგრაფის მავთულები გადასჭრეს.

— ურმიის ტბაზე იალქნიანი გემების მიმოსვლა დაიწყო და მრავალი საქონელი გადააქვთ-გადმოაქვთ. აგრეთვე საქონლის მატარებლების მოძრაობა დაიწყო ჯულფასა და მარანდის შუა.

— საზღ. დაწესებულებს განკარგულებით ნება ეძლევათ ჯულფიდან სპარსეთში ნავთი და შაქარი შეიტანონ.

— ჯულამერკიდან სალმასტში 20000 გამოქცეული აისორი მოვიდა.

# ქრონიკა.

რუსეთი.

### ოდეკალონის გაყიდვის აკრძალვა.

აიკრძალა გაყიდვა აფთიაქებიდან ოდეკალონებისა და სხვადასხვა საპირფ. რემოების, რომელშიც სპირტი ურევია.

—

კონსისტორიის რეფორმის შესახებ უკვე შემუშავდა პროექტი რომლის ძალითაც სასულიერო კონსისტორია უქმდება. მის მაგივრად არსდება ორი ეპარქიალური სამმართველო. ერთი მათგანი ადმინისტრატიულ, შინაური საქმეების მომწესრიგებელი, მეორე კი სასამართლოს საქმეებისა. წევრები და მდივანი სამართველოებისა იქნებიან დანიშნული სინოდისაგან და თავჯდომარე კი—არქიელებისაგან.

### ბინის საკითხი.

სახელმწიფო საბჭოს წევრის ი. მ. ტრიუტრიმოვის თავმჯდომარეობით მოხდა სხდომა განსაკუთრებულ კომისიისა ბინის კითხვების შესახებ. ი. მ. ტრიუტრიმოვმა განმარტა, რომ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდის აღძრულ იქნა საკითხი ბინების უქონლობის გამო. ომმა კიდევ უფრო გააძნელა ბინების შოვნა. ამ სხდომაზე გადაწყდა, რომ შემუშავებული იქნეს პროექტი განსაკუთრებულ სახელმწიფო ფონდისა, რომლიდანაც სახლის აშენებლებს მიეცემათ სესხი სახლების ასაგებათ.

## გერმანული გაზეთების აზრი.

გერმანულ გაზეთებში აწერილია ფართო მიმოხილვა სამხედრო ბრძოლის შესახებ ბალკანეთში.

გაზეთი „ტაგი“ აღნიშნავს, რომ ამჟამათ ბალკანეთის სამხედრო ოპერაცია უახლოვდება იმ სტადიას, რომელმაც უნდა დაანახოს ევროპის ცენტრალურ სახელმწიფოებს—მოხდება თუ არა საბოლოო საჩქარო გადამწყვეტი ომი, თუ აქაც ისე გაგძელდება უსაზღვრო დრომდი, როგორც დასავლეთ-აღმოსავლეთის ფრონტებზეო.

პირველათ ავსტრო-გერმანეთის ჯარმა დაიწყო საფრონტო იერიშები სერბიის წინააღმდეგ და გადავიდა მდ. დუნაიზე და სავაზე. ბულგარეთის ჯარის მოძრაობამ ორი მხრიდან პირველათ სამხედრო ოპერაციას ფართო შემოვლის ხასიათი მიიღო, რომლის შედეგსაც უნდა გადაეწყვიტა სერბიის ჯარის ბედი. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ბულგარეთის ჯარის მარცხენა ფრთის მოძრაობა. ეგრიპალანკუსა და კუმანოვოზე მიწოლილმა ბულგარეთის ძალებმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ დაიკავეს უსკიუბის რკინის გზის ჯვარედინი და შემდეგ გაემართენ ჩრდილოეთის მიმართულებით რკინის გზის გასწვრივ, რომელიც მიდიოდა კარალიჩის უღელტეხილით მიტროვიცისკენ. ბულგარეთის ჯარის ამ მოძრაობას მიზანი ქონდა ხელი შეეშალა სერბიის ჯარისათვის უკან დახევის დროს მთაშავეთის ტერიტორიისაკენ. თითქმის ერთსა და იმავე დროს დაიწყო მოქმედება ავსტრიელების ჯარმა ვიშეგრადის მხრით

ავსტრიის ჯარმა ხელში ჩაიგდო დრინაზე გადასასვლელი ფონები და რამდენიმე სიმაღლე მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე. ამგვარათ, „ტაგის“ აზრით, შეიკრა რკინის რგოლი, საიდანაც სერბიელებს შეეძლოთ გამოსვლა მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთით მთაშავეთის ტერიტორიისკენ ან სამხრეთ აღმოსავლეთით საბერძნეთისკენ.

„ბერლინერ ლოკალ ანცაიგერის“ სამხედრო მიმომხილველი დიდ მნიშვნელობას აძლევს ბულგარეთის ჯარის მარცხენა ფრთის მოქმედებას ველეს-ვარდარის მიდამოებში. ბულგარეთის ჯარის ეს ნაწილი შეიძლება ორს ცეცხლ შუა მოექცეს. პირველი სერბიელების ჯარის მხრივ, რომელიც ველესიდან უტევს და მეორე მოკავშირეთა საექსპედიციო კორპუსების მხრით, რომელნიც სალონიკიდან მოდიან.

## ქალ. ვილნოდან დახევა.

ერთი აქტიური მონაწილეთაგანი ვილნოდან დახევის შესახებ შემდეგს გვიამბობს:

გერმანელები ცდილობდნენ სასტიკი იერიშების მოტანას. მოწინააღმდეგე მხრიდან მოქმედობდა გენერალ ეიხგორნის არმია. ჩვენი მე 10 არმია ორ ფრონტზე იგერიებდა მტრის სასტიკ იერიშებს რითაც მტერმა დიდი ზარალი ნახა. მაშინ კი როცა აუცილებელი შეიქნა ვილნოდან დახევა, ებრძანა ჯარს უკან დახეულიყო ისე რომ მტერს ხელში არაფერი არ ჩავარდნოდა. თვით გერმანელებიც დარწმუნდენ იმაში, რომ მათი მიზანი მიუღწეველი დარჩა. რამდენათ ძლიერი იყო გერმანელების ცდა ვილნოს დაჭერის შესახებ, იმდენათ ენერგიული იყო ჩვენი წინააღმდეგობა. საკმაო ძალის მოკრების შემდეგ ჩვენმა ჯარმა გაათორკეცა შეხვედრითი შეტევა. მე 10 არმიას უკან დახევის დროს არავითარი კრიტიკული მდგომარეობა არ განუცდია ჩვენს მხედრობას პირიქით ჩვენ არ გვინდოდა ვილნოდან მანამ გამოსვლა სანამ მტერს დიდ ზარალს არ მივაყენებდით. როცა გამოირკვა რომ მტერი ცდილობს მოლოდეჩნოს მიმართულებით მდგომარების გამწვავებას ჩვენ გადავსწყვიტეთ აღმოსავლეთისკენ გადაგვეტანა ჩვენი მოქმედება. ერთსა და იმავე დროს ჩვენმა მხედრობამ დაიწყო გადამწვეტი შეტევები, პირველად სმორგონის ფლანგით, შემდეგ კი ომიენის, მოლოდეჩნოს, და ვილეიკის მხრივ, რითაც დიდათ შეფერხდა ეიხგორნის მოქმედება.

ძალიან მცოდნე პირმა შეგვატყობინა ჩვენ, რწმენა ამ ოპერაციის კარგათ დაბოლოვებისა გვაცხოველებდაო. ცნობა ზოგიერთი საზღვარგარეთელი გაზეთებისა მის შესახებ, რომ თითქოს ჩვენ ხელმძღვანელობაში მეფობდა რაღაც დაბნეულობა, მტკნარი სიცრუეა ჩვენ ვიცით, რომ ოპერაციაში მონაწილეობდენ ისეთი გამოჩენილი გერმანელები, როგორიც

# გრიშიკო მწერალი.

(მოთხრობა).

I.

(შემდეგი იხ. „სამშობლო“ № 208)

ელენტია იყო შეძლებული აზნაურის ქალი, მამა მისი კაი „ჩასუქებული“ აზნაური იყო. იმ სოფელში, სადაც ის ცხოვრობდა, მეტოქე არა ჰყავდა გაიძვერაობაში და მამულის სიყვარულში. ცოლი კი ისეთი კაპასი ჰყავდა, რომ ცხენზე მჯდომ კაცს ჩამოაგდებდა ძირს. იმ სოფლის ქალები, პატარძლები და ხნიერნიც მირეკ-მორეკილი ჰყავდა: ერთს რომ დასპეჭდა, მერე მშვიდობით, ყველა ქედმოდრეკილი იყო, სულ განაბული; მისი ქმარ-შვილი სულს ვერ დაჰბერავდა მასთან. ქმარი ხომ ახირებული კაცი იყო, მაგრამ ცოლს ფეხქვეშ ჰყავდა გათელილი; უნდოდა აქებდა, უნდოდა მშიერს ამყოფებდა, კარში ძაღლივით გააგდებდა, შვილებში ვაჟები არ შერჩა, ჰყავდა ხუთი ქალი. ეს ქალები ყველა „მზითვიან-ოლოლობიანნი“ იყვნენ. ამ ხუთს ქალში, მხოლოდ ერთი „ამორჩეულა“ და იმას მიეკედლა, გადასცა ცხოვრება, რაც რომ გააჩნდა: მამული, სახლ-კარი, ქურ-მარანი; და დაისვა ერთი გაიძვერა რაჭველი აზნაური და ჩაუყარა მას ხელში რაც რამ გააჩნდა. სხვებს კი ცოტ-ცოტა ფული მისცა და თავიდან მოიშორა ზოგი ღარიბს და ზოგიც შეძლებულს აზნაურებს მოხვდენ ცოლებად. გათხოვილ ქალებში ყველა მოკვდა, ამორჩეულმა და შეყვარებულმა ასულმაც თქვენი პირი წაიღო. შვილი არ დარჩენია მასაც. სიძემ კი, სადღაც ადგილი მოიგდო ხელში. ცოლის სიკვდილის შემდეგ იქ ვილა მიიკარებდა. სიმამრს და სიდედრს მის ხელში ილაჯი გაუწყდათ, სიმშილით სული ხდებოდათ. სიძემ ისინი ერთს პატარა ოთახში შეამწყვდია და ტუსაღებივით ნამცეცებ სგადაუგდებდა, ისე ჰკვებავდა. ნახევრად მშიერ მწყურვალნი და შიშველ-ტიტველნი იყვნენ. სიმამრმა ეს მკაცრი ცხოვრება ველარ აიტანა, გადაბრუნდა და მოკვდა, დასტოვა ერთი აძაღლებული ცოლი, რომელიც, თუმცა ქვეყანას აღრჩობდა მისი სიმყრალე, მაგრამ, როდესაც სიძეს ჩაუვარდა ხელში, მერმე სულსაც ვერ ბერავდა მის წინ. სიძემ ისე აითვალისწინა სიდედრი, რომ მის დანახვას ჰრული გველის დანახვა ერჩია. იცოდა მან რაც შვილი იყო იგი. თავიდან ბოლომდი სიცოცხლე! მისგან ჩაშხამებული ჰქონდა და როდესაც მისი ხელში შემყურე შეიქნა, ძაღლსავით აღარ აგდებდა.

ერთს ქალს, რაც კი რამ გააჩნდა, თავისი ავლა-დიდება, მთლად მას ჩაუყარა ხელში, დანარჩენები ყველა გაიპარტახა, თუმცა ცოტ-ცოტა მზითევი მისცა. მასზე სიძე და ქალები ისე იყვნენ გაბრაზებული, რომ მისი სახლში შეყვანა ჰკრად მიაჩნდათ. ყველამ აიშულა და ბოლოს, ძალა უნებურად ისევ ელენტიასთან მივიდა. ელენტია, თუმცა უმადური იყო სხვა დებივით დედისა, მაგრამ რაღა გზა ჰქონდა, შეიყვანა სახლში. ამას სიმდიდრეც ხელს უწყობდა. სამზარეულოს ერთს კუთხეში მისცა ბინა და ხანდისხან ცივი მჭადის ნატეხს მიუგდებდა ხოლმე. ელენტია დედას ბევრში წააგავდა ხასიათით და მიმართულებით და ამისათვის მანაც მასთან ყოფნა არჩია. რამოდენიმე ხანს მასთან იყო და მერმე მოკვდა უცხო ქვეყანას, უცხო ხალხში, თვის სახლ-კარს, ცხოვრებას მოშორებული. მისმა ქალიშვილმა ერთს უკუნთში, ნაეკლესიარს ადგილას დამარხა.

ელენტიას თავისი საქმისათვის არ უღალატნია, ის ჩვეულებრივ ყარაულობდა მის მამულს. ამასობაში მისი ორი ქალიც წამოიზარდენ. ერთს ერქვა მაშიკო და მეორეს ელენკო. ქალები დედას უყურებდენ, ისინიც ისე ირჯებოდენ, როგორც დედა მათი. უფროსი მოზრდილი იყო, ასე რომ მჭადის გამოცხობა შეეძლო; შეშის და წყლის მოტანა, საქონლის მომწყესვა და სხვა საოჯახო საქმეები გვარიანად ეხერხებოდა. არც უნცროსი ჩამოუვარდებოდენ უფროსს საოჯახო საქმის გაკეთებაში მხოლოდ ამ ელენკოს ჰრა-კერვა და ქსოვა უფრო ეხერხებოდა. სამი დედა შვილი ოჯახში ტრიალობდენ და წყაროს თვალივით მოჰყავდათ წინ. თუმცა ქალები იყვნენ, მაგრამ მეშაობაში მათთან მამა-კაცს რა შეეძლო? ქალის საქმესაც აკეთებდენ და კაცისასაც. ქათამი, ბატი, ინდოური და კვატი მათ ეზოში იმდენი იყვნენ, რომ სათვალავს ვერ უდიოდენ, არ იცოდენ. ისე კიდევ შინაური საქონელი, რამდენიც შეიძლება ერთს შეძლებულ ოჯახში: სამი უღელი ხარ-კამეჩი, ხუთი მეწველი ძროხა. სტუმარიც მაძღარი იყო და მასპინძელიც. ბევრს ჰყიდდენ კვერცხს, ყველს, ტყემლის ტყლაპს, ხილს და სხვა, ასე რომ იმ მხარეზე ერთს შეძლებულ ოჯახათ ითვლებოდა.

ჩვენს ობოლს დებსაც „თვალი დაედგათ.“ უფროსი იქნებოდა თვრამეტი წლის და უნცროსიც ცამეტზე ცოტა მეტი. დედა „პულეხათ“ ზრდიდა მათ. არც ხეირიანი ჩაცმა-დახურვა, მორთვა-მოკაზმვა, გაყვან-გამოყვანა მათთვის და არც სხვა რამე მათი შესაფერისი აზრდა-განათლება. ქალები წამოიტოქვირენ; თითონაც მიხვდენ ისინი ასე ყოფნა არ ვარგა, მიიხედ-მოიხედეს, მათს ტოლს კაი წითელ-ყვითელი კაბები, შლიაპები, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები, ფერ-უმარილი, გასვლა-გამოსვლა, ყმაწვილებთან სიცილ-ხარხარი არ აკლდათ. ამათაც „გასაპატიურებას“ მიჰყვეს ხელი. აქნამდი თუ ფეხ-შიშველი, თმა გაწეწილი, იუბკის, ამარა საქონელს დასდევდენ ველ მინდორში, ახლა ტან-ფეხი ჩაიცვეს; კაბებიც გამოიცვალეს, ხელ-პირის ბანას უმატეს, ყანებში წასვლის დროს ხელთათმანს იცვამდენ ხელზე, მზემ არ გაგვიშავოსო.

აქა-იქ მონათესავეებმაც წაულაპარაკეს ელენტიას.

— ახლა დროა შენი უფროსი ქალიშვილის გათხოვებაზე იზრუნო: ქალი მალე იზრდება, ქალი და ქადა ერთია, ქალი ისე „გამატიოსნებული“ უნდა იყოს, რომ მას ხელის გულზე დაიწერებოდეს. ქალი ისე მალე იზრდება, რომ მისი პატრონი ვერც კი ამჩნევს; მერე შენ ის აღარ გიყურებს, საქმროს ამორჩევა თვითონ იცის. ჯერ კი, სანამ შენს ხელშია სითაც გინდა, იქით უზამ თავს. მე გეტყვი დეიწუნებ შენს გოგოებს: ადგილ-მამული ბევრი, ოჯახი დიდებული, ქალი კარგი, რა აკლია მითხარით, აპა, თუ ღმერთი გწამს!

— არა, თვალო და ჩინო, მაგათი გათხოვება ჯერ სადაა, რა მცოდნია მაგათი ქმრისარა მაგათი საქმეა, მოიცადონ ჯერ, მიიხედ-მოიხედონ, ჩემსავით გაისარჯონ, შეიძინონ, მოიპოვონ, მოიქანონ, მე რომ მიყურებენ დღედაღამე გასწორებული მაქვს, ტალახში ვიზლიზნები, ვცდილობ არაფერი დაეკარგოს, მინდა ყველს კაკალი გავაგდებინო და მაგათ შევძინო. მაგათაც გაისარჯონ, განძრიონ ხელი, კი არაფერი უჭირთ! ტყუილად ნურავინ გამიბრიყვებს მაგათ ჯერ,—მიუგებდა ხოლმე ყველას ელენტია, როდესაც ვინმე ქალიშვილის გათხოვებაზე ჩამოუგდებდა ლაპარაკს, სიტყვას.

თურმე ნუ იტყვით, გათხოვება თვითონ ჩვენ ქალბატონს უნდა. საქმე ხუმათ მოუკვარახჭინებია ერთს აზნაურზე. ეს ამბავი რწყილსაც არ გაუგია. დაიწერა კიდეც მასზედ ჯვარი, მოიყვანა შინ და იწყეს ერთად ცხოვრება ცოლ ქმარმა. ქალი კი არა ქაჯი შეიქნა მერე ქმრის ხელში ელენტია. მისდევდა ქმარს დედას თამროს და აკვრევინებდა თავს წისქვილში! ის კი ამ ჯაფას ჩვეული არ იყო და, როდესაც მას თხოულობდა ცოლად, ფიქრობდა რადა მიჭირს, დავჯდები და ვიბან ხელს, ვინ მეყოლება გამსწორებელი, ცხოვრება და ქონება ბევრი ეგულებოდა ცოლის ოჯახში. ყანაში რომ გაგზავნიდა ცხრა ოყიან თოხს მისცემდა ხელში. დღეს ამდენი და ამდენი, დასთოხნე, თვარა ვაი შენს უბედურებასო. სახლში ან ჭამა სად იყო, ან სმა მისთვის ჰყავდა ერთს ჯოჯოხეთში. ასე რომ ვერც ამ მეორე ქმარმა უძლო მას. მერმე რა რთგანიერი ხასიათის კაცი იყო, თვალებში რომ ჩავარდნოდი, ხელს არ მოისვამდა. ელენტიამ ისიც მალე გაგზავნა იქით, საიდანაც არავინ ბრუნდება. მის ხელში ერთი ვაჟი არ დარჩა.

დარჩა მარტო ისევ ორი ქალისა და ერთის ვაჟის ამარა ელენტია. ჩვეულებრივ საქმიანობისათვის მას ხელი არ გაუშვია. ხან აქეთ ეცემოდა, ხან იქით, ქვეყანაც მოიღალა, თავისი თავიცა. ქალიშვილები, რასაკვირველია, რაც დრო გადიოდა იზრდებოდენ და, ცოტა არ იყოს, დედას აღარაფრად უყურებდენ; ასე აგონებდენ იქიდან და აქედან გამოლულ-გამომლულნი, მტერი და მოყვარე:

— ეს ადგილები თქვენია, დედა თქვენის კი არა, თვალები გაახილეთ, შესაძლოა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან ალექსეევი და ევერტი. მათ დახასიათებაში პირველი შემთხვევა არაა ასეთი ბრწყინვალე გადაწყვეტა გამოსვლისა ძნელი მდგომარეობიდან. მისთან გერმანიის გაზეთებშიდაც იყო რამდენიმე სტატია, რომელთაც შესაფერისათ დააფასეს ოპერაცია.

ჩვენ კორესპონდენტის სიტყვით, მეათე არმიის ვილნოს რაიონის გამოსვლასთან ერთად მოლოდეჩნოს რაიონში მოხდა ბრწყინვალე კავალერიის საქმე. აქ შეგვხვდენ შესაფერისი ჯგუფები ჩვენი და გერმანელი კავალერიის. ჩვენი კავალერია გამაგრებული იყო აგრეთვე ფეხმავალი ჯარებით. მოწინააღმდეგის ცხენოსანმა ჯარმა დიდი გარბენით დაღლილმა, მალე დაუთმო ბრძოლაში იგი, რომ რაც ადებული ქონდა მოლოდეჩნოში, იმის წაღებაც ვერ მოასწრო. რ.

## ზავის გარშემო.

გაზეთი „კელნიშე ფოლკს ცაიტუნგი" იტყობინება, რომ პაპა ბენედიკტემ მიმართა ბელგიის მეფეს თხოვნით მიიღოს თავის თავზე ინიციატივა ზავისა. ამასთანავე პაპა ბენედიქტე დასძენს თავის მიმართვაში მეფისადმი, რომ ის თავის სულიერ მოვალეობათა სრულის დაუჩქარის მშვიდობიანობის დამყარებაში თავისი წვლილის შეტანას, რისთვისაც, ერთსა და იმავე დროს მიმართავს ყველა კათოლიკე მონარქებს თხოვნით ხელი შეუწყონ ომიანობის დასრულებას. პაპას სწამს გმირული სული მეფისა და ბელგიის ხალხისა და თან ფიქრობს, რომ აღფრთოვანება მთელი ქვეყნისა ბელგიათი იქნება არა ნაკლები, თუ მეფე სერიოზულად მოკიდებს ხელს მშვიდობიანობის აღდგენის საქმეს. პაპის სტ... სეკრეტარმა მიიღო მეფე ალბერტისაგან უარყოფითი პასუხი. მეფე მადლობას უხდის პაპას იმ ყურადღებისათვის რომელიც გამოიჩინა მან ბელგიის მიმართ, თან აცხადებს, რომ თუმცა იგი მომხრეა ზავისა, მაგრამ ზავი არ მოხდება მანამდი, ვიდრე ბელგიის ტერიტორია გათავისუფლებული არ იქნება გერმანელებისაგანათ.

ამასთანავე ბელგია მეგობრულ კავშირში ოთხთა შეთანხმებასთან და მათთან შეუთანხმებლათ ამ საკითხის გადაწყვეტაში ვერ მიიღებს თავის თავზე ინიციატივას.

იგივე გაზეთი იუწყება, რომ პაპამ ამ დღეებში კერძო აუდიენციაზე მიიღო კარდინალი ამეტტი, პარიზის არქიეპისკოპოზი.

ბერლინის გაზეთები პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევენ შვეიცარიის ელჩის გაგზავნას ბერლინიდან სტოკჰოლმში კონფიდენციალური მისიით.

შვეიცარიის მთავრობამ ამასწინათ დანიშნა განსაკუთრებული ელჩი ბერლინში.

როგორც ჩანს, ნეიტრალურ სახელმწიფოებს ერთმანეთში მიმოსვლა აქვთ ზავის შესახები საკითხების გამო.

გაზეთები „ფრანკფურტერ ცაიტუნგი" პოლემიკას მართავს „დოიტჩე ტაგეს ცაიტუნგ"-თან. ომის მიზნების და სხვადასხვა ეკონომიური ორგანიზაციების მიერ რეზოლიუციების გამოტანაზე ზავის პირობების შესახებ.

## თეთრ-ბილეთიანები.

სამხედრო მინისტრის კანონ-პროექტი თეთრ-ბილეთიანების ხელ-ახალი შემოწმების შესახებ უკვე საბოლოოთ შემუშავდა და გადაეცა შინაგან საქმეთა მინისტრს ა. ნ. ხვოსტოვს დასასკვნელათ. პროექტის თანახმათ, იმის გამორკვევა თუ რომელ წლიანები უნდა იქნენ ხელმეორეთ შემოწმებული და თვით წესი შემოწმებისა მოხდება სამხედრო და შინაგან მინისტრების შეთანხმებით. შემდეგ შემოწმებისა, თეთრ-ბილეთიანები მიიღებენ ისევ თეთრ ბილეთებს, თუ, რასაკვირველია, ისევ უვარგისნი იქნებიან სამხედრო სამსახურისათვის, და აღარც შეამოწმებენ არასოდეს. ხოლო, ვინც გამოსადეგარნი იქნებიან სამხედრო სამსახურისათვის, პროექტის ძალით ახლავე არ გაიგზავნებიან ომში არამედ გადარიცხული იქნებიან იმ წლების სათადარიგო ჯარის კაცთა რიგში, რომელ წლებშიც იყვნენ მიწვეულნი კენჭის ამოსაღებათ. უფრო საყურადღებო ის არის რომ ასეთი ჯარის კაცები ჩარიცხული იქნებიან მეორე ხარისხის რატნიკებათ. სამხედრო სამსახურისათვის მათ გაიწვევენ თანაბრათ მათივე მოწილე მეორე ხარისხის რატნიკებთან ერთად.

თუ შინაგან საქმეთა მინისტრმა თავისი დასკვნა ხათათბიროს მოწვევამდი გამოიტანა,—ადვილი შესაძლებელია, რომ კანონპროექტი საკანონმდებლო დაწესებულებას გადაეცეს განსახილველათ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გატარებული იქნება ცხოვრებაში ძირითადი კანონების 87—ე სტატიის წესით.

„რ. ს".

## ქართული პრესა.

ქართული ენის შეზღუდვის შესახებ „სახ. ფურც." სწერს:

ქართულს მოესპო სრულიად ასპარეზი სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აბუჩად არის აგდებული და, როგორც პატივ აყრილს და ღირსება ახდილს, დაეკარგა გასავალი შინაურობაშიაც. შეიძლება ბევრი საყვედური და მწარე სიტყვა ვსთქვათ იმის გამო, რომ ჩვენ თვითონ ძლიერ ხშირად არ ვათვასებთ და პატივს არა ვსცემთ მშობლიურ ენას, მაგრამ ასეთის საყვედურებით ვერას გავხდებით, როცა ხალხი, რომელიც ცხოვრებას უპირველესად პრაქტიკულის თვალსაზრისით უყურებს, ხედავს, რომ ქართული ენის მცოდნე ვერც სასამართლოში შედის, ვერც ადმინისტრაციის მიმართავს, ვერც რასმე იყიდის და გაყიდის, წერილსაც ვერ გაუგზავნის ახლობელსა და ნაცნობს, ვერც სხვა რასმე გაარიგებს, ხედავს ამას და თანდათან უნებურად ეკარგება დედაენას პატივი და სიყვარული. ხალხი ხედავს, რომ ცხოვრების ბრძოლაში საქმე ისეა მოწყობილი განზრახ, ძალად, რომ ქართული ენა სუსტი იარაღია მებრძოლისათვის. ასეთ პირობებში, უეჭველია, ნელ-ნელა ეჭვი შეეპარება თავის ენის ღირსებისა და მნიშვნელობის შესახებ. ამის მაგალითი ძალიან ბევრია ჩვენს წინ. ქართული ენა შეირყვნა, ქართული ენა შესუსტდა და გაჰქრა თითქმის საქართველოს ზოგიერთ კუთხეში. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ახალციხის და ახალ-ქალაქის მაჰმადიანმა ქართველებმა ქართული ენა უკეთ იცოდნენ, ვიდრე დანარჩენ საქართველოს შემოქმედებოდნენ...

ცხადია, რომ ასეთი არა-ბუნებრივი მდგომარეობა უთუოდ მხრივ აფერხებს და აბრკოლებს ქართველი ხალხის გონებრივ განვითარებას, კულტურულ წარმატებას, ვერც ერთი ენა ვერ გაუწევს ხალხს დედა-ენის მაგიერობას. ხალხი ვერ ლაპარაკობს დედა ენაზე, ვერ სარგებლობს დედა-ენით, ვერ ეწაფება განათლებას დედა ენის საშუალებით და აუცილებლად სიბნელეში გარდება. ქართულის მოქმედების ასპარეზი შეიზღუდა და დღითი-დღე იზღუდება და ამის უთუო შედეგი ისაა, რომ ვარჯიშობას მოკლებული ენა აღარ ვითარდება და ის ენა, რომელზედაც მეთერთმეტე საუკუნეში იოანე პეტრიწს გასაოცარის სიმარტივით შეეძლო გადმოღება ბერძენთა ფილოსოფების და მეცნიერების მეტად რთული აზრების და დებულებათა, დღეს მოუხეშავი და უდრეკი ხდება, ის ენა, რომელსაც მეტის მეტად მდიდარი ლექსიკონი აქვს, დღევანდელი ქართველის პირში ორი თუ სამი ათასი სიტყვით-და განისაზღვრება. უთუოდ ეჭვს გარეშეა, თუ ამ გვარი მდგომარეობა დიდხანს გაგძელდა, რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენი მდიდარი ენა აფრიკის ველურების ენას უფრო დაუახლოვდება, ვიდრე განათლებული ქვეყნების კულტურულ ენებს. უთუოდ ეჭვს გარეშეა ისიც, რომ ქართული ენის საკითხი, მისი უფლებისა და ასპარეზის აღდგენა, ეს ქართველების არსებობის საკითხია.

ქართული ენის საკითხი მაშინ გადაწყდება, ქართული ენა მაშინ ჩაგდება ნორმალურ პირობებში, როცა ქართველი შეიქნება თავისი ცხოვრების ბატონ პატრონი.

მაგრამ, რასაკვირველია, მანამდისაც ჩვენ გულზე ხელდაკრეფილნი არ უნდა ვისხდეთ და მედგარი წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ ქართული ენის უთვალავგვარს შეზღუდვას, ვეცადოთ გავაფართოვოთ მისი მოქმედების სარბიელი. შეუძლებელია გაჩუმება, როცა ვინმე მოინდომებს შებღალოს, შეავიწროვოს ისედაც დევნილი და დაჩაგრული ჩვენი ენა. განსაკუთრებით არ შეგვიძლია არ ავიმაღლოთ ხმა, როდესაც ქართულს ენას აბუჩად იგდებენ და უნდათ წაართვან ეხლანდელი მცირე უფლებაც ჩვენს სკოლებში, სადაც იზრდება ჩვენი ნორჩი თაობა, სადაც იღვიძებს ადამიანური შეგნება და თვითმოქმედება.

„თან. აზრი" სურსათის გადატან-გადმოტანისა და გაძვირების შესახებ შემდეგსა სწერს:

რასაკვირველია, დიდი შეცდომა იქნებოდა დავუმტკიცებია, რომ რუსეთის მთელი მცხოვრებნი სანოვაგის, სურსათის ან და სხვა რომელიმე სათვალრიგო და საქარხნო ნაწარმოების აბსოლიუტურ სიმცირეს განიცდიდეს, მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო და სამრეწველო რაიონებს აუარებელი კაპიტალი და ცოცხალი სამუშაო ძალა მოშორდა,

მაინც თამამათ შეიძლება ითქვას, რომ სახალხო ნაწარმოების საერთო რაოდენობა აღემატება ხალხის საერთო მოთხოვნილებას. ასე რომ ამ მხრივ კითხვის დაყენება ყალბი და უნიადაგო იქნებოდა. რუსეთში საკმარისია პური, ნავთი, შაქარი, ქვანახშირი და სხვა მრავალი სურსათი, მაგრამ დანიშნულ ადგილს მიტანა რკინის გზების ვაგონების გამო მეტათ გაძნელებულია სამგზავროდ აგიდოთ თუნდაც შაქარი. მთელი რუსეთის მცხოვრებნი შაქრის ნაკლებობას განიცდიან. სხვადასხვა ეკონომიურმა საზოგადოებამ ციფრების საშუალებით დაამტკიცეს, რომ შაქარი საკმარისათ მოიპოვება, მხოლოდ მისი მოსახმარ ადგილებში მიტანა მრეწველ-ვაჭრების და რკინის გზის მოხელეთა მეოხებით ძალიან ფერხდება, თავის დროს არასოდეს მიდის და მით უსაზღვრო სპეკულიაციას ფრთები ესხმება.

მრეწველ-ვაჭრები და რკინის გზის სპეციალური აგენტები ერთმანეთს დაუმეგობრდენ და ამ საერთო გაძვირების ხანაში თავიანთ პირად საქმეებს აკეთებენ. ამათ მატარებლების სიმცირის ნიღაბი აუფარებიათ და ქვეყანას არწმუნებენ, რომ საერთო საქონლის უქონლობის გამო მცხოვრებთა უმრავლესობა სურსათის ნაკლებობას განიცდისო. მაგრამ ამით ისინი სიანმდვილეს ხელს ვერ დააფარებენ. ის მცირეოდენი საქონლის მატარებლებიც კი, რომლებიც ომის საჭიროებას გადარჩა, მიმოსვლის ორგანიზაციულათ მოწყობის მეოხებით ხალხის მოთხოვნილებას, საქონლის გადატან-გადმოტანას საკმარისათ მოაგვარებდა და აწმყო სურსათის ნაკლებობა ხალხს თავიდან აშორდებოდა.

მაშინ, როცა სხვადასხვა საზოგადო დაწესებულებები, მომხმარებელი კოოპერატივები და ქალაქისა და ერობის თვითმართველობები თავისუფლად ვაგონებს ვერ შოულობენ, კერძო მწარმოებელსა და ვაჭრებს საქონლით დატვირთული ვაგონები ერთ ადგილს უდგათ და სიათაც ფასები მოემატება, იქით მიაქანებენ.

## ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

კვირას, 2 ნოემბერს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში, დილის ათ საათზე, დანიშნულია ქუთ. მომხმარებელი საზოგადოების „კოოპერაციის" გამგეობის და სარევიზო კომისიის წევრების შეერთებული კრება. სთხოვენ ყველას აუცილებლად დაესწრონ ამ კრებას, ვინაიდან ეს კრება უკანასკნელია მომავალ საზოგადო კრებამდის.

✦ დახრჩობა. 18 ოქტომბერს ლაგვანტას (რაჭა) მახლობლათ ს. საკაოს მცხოვრები ამირან კ. ბერელიძე უეცრად გადავარდა მდ. რიონში და დაირჩო დამხრჩვალი მეორე დღეს ნახეს.

✦ 16 ოქტომბერს ამავე სოფლის მცხოვრები პეტრე გუგუშვილი უცაბედათ გადავარდა რიონში და დაიხრჩო.

✦ ჩვენ გაზეთში მოყვანილი იყო ცნო-

✦ ფოთის ქალაქის საბჭომ 15 ოქტომბრის სხდომაზე სკოლების სამზრუნველო კომიტეტში ამოირჩია შემდეგი პირები: ფოთის სავაჭრო რომანოვების სახ. გიმნაზიაში ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელი მ. ი. ტყემალაძე, ვლ. ჯაფარიძე, მიხეილ საპატარაშვილი და სოლომონ პ. ოსიძე.

ფოთის ქალთა გიმნაზიაში: ანნა ვ. ...ქაბერიძე, სოლომონ თედ. ..., კონსტანტინე დ. გაბუნია და ... ლ. აბაშიძე.

✦ ქუთ. პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლათ დაინიშნა მირიან ბასილაია მოსკოვს კომერციული სასწავლებლის კურს დამთავრებული.

✦ ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორი დროებით თბილისს გაემგზავრა.

✦ პარასკევს, ქუთაისის ქართ. თეატრში გაიმართება ნიკოლოზ ჩიკვაიძის კონცერტი.

✦ 23 ოქტომბერს, დაბა სამტრედიაში დაიჭირეს ანდრო გრიგოლია, რომელსაც აღმოაჩნდა ამ ერთი კვირის წინათ მატარებელში დაკარგული 100 მან.. ოქროს საათი მიხეილ მიქელაძისა.

✦ ს. პატრიკეთში 21 ოქტომბერს, წინასწარი განზრახვით ბრალდებით ნესტორ და მარკოზ ეჩიბერიძეებს ძიგავას სასიმინდის დაწვა. ზარალი ათას მანეთამდეა.

✦ 21 ოქტომბერს მოხდება ქუთაისის მაზრის წვრილი კრედიტის საზოგადოებათა წარმომადგენელთა კრება, რომელზედაც გაირჩევა საკითხი, თუ საიდან უნდა გამოიწერონ შაბიამანი და სიმინდი.

✦ დღეს, ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება საჯარო ვაჭრობა სალდათის ყაზარმაზე 15 დესეტინა ტყის მოჭრისა და დამზადების იჯარით გასაცემათ.

✦ გუბერნატორის ნებართვით მოკლე ხანში სოფ. სახნოში გაიხსნება სახანის წვრილი კრედიტის საზოგადოება.

✦ თფილისის ქალაქის ინჟინერი ბ. ლისიცინი ქუთაისის ქალაქის მოურავს სთხოვს გაუგზავნოს მას ქუთაისის პლანი რომელიც საჭიროა კანალიზაციის მოსაწყობათ.

✦ როგორც გავიგეთ ქუთაისის მსახიობთა ამხანაგობის წარმომადგენების მართვით ძლიერ ცუდა შემოსავალი ჰქონიათ. მსახიობები მატერიალურათ უნუგეშო მდგომარეობაში არიან, იმათმა დრამატიული საზოგადოების წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, რომ თეატრის შენობა უფასოდ დაეთმოთ.

✦ 27 ოქტომბერს ქუთაისის შავიქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში მოხდა საბიბლიოთეკო სექციის კრება სადაც შეიმუშავეს ბიბლიოთეკების გაუმჯობესობის წესრიგი

✦ შაბათს ქუთაისის ქართული თეატრში დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პიესა „ციმბირელი." კვირას კი ცნობილი სუმბათაშვილის დრამა „ღალატი".

✦ ს. მექვენის (ლეჩხუმის მაზრა) მცხოვრები ამ. რაზმაძის ინიციატივით ამ დღეებში განზრახვა აქვს შუამდგომლობა აღძრას ქუთაისის გუბერნატორის წინაშე რომ ნება დართონ დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება.

✦ ამ ჟამათ ქუთაისის ლაზარეთში ტიფით ავადმყოფობა გავრცელებულა.

✦ როგორც ს. დერჩიდან (ლეჩ. მაზ.) გვატყობინებენ, მთავრობას გადაუდევს 5000 მ. ადგილობრივ ორკლასიან ნორმალურ სასწავლებლის დასაარსებლათ.

✦ 18 ოქტომბერს ქალაქ ფოთში ბერძნების კუჩაზე დ. ზუგდიდის მცხოვრებმა ლევან სანაიამ მოპარვით ხანჯლით მძიმეთ დაჭრა ქ. ფოთის მცხოვრები ევგენი ჯოლია; როგორც გამოირკვა ყველა ეს ამბავი რომანტიულ ნიადაგზე მომხდარა.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა 10 მ. ან ერთ კვირის დატუსაღებით დააჯარიმა მოვაჭრე სამსონ ს.პ. თევდორაძე მაგარი სასმელების გაყიდვისათვის.

✦ ს. რგუნაში (ოკრიბა) კვირას 1 ნოემბერს მოხდება საზოგადოების ყრილობა, რომელსაც დაესწრება ქუთაისის მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტის წარმომადგენელი, ამ კრებაზე გაირჩევა ამ სოფლის მევენახეობის საჭიროების საკითხები.

✦ პარასკევს 30 ოქტომბერს, ქუთაისის ელექტრო თეატრ „რადიუმში" გაიმართება საქველმოქმედო სეანსები ქუთაისის წ. მ. ნინოს ქალთა სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ. იმედია ქუთაისის საზოგადოება ჩვეულებრივათ: ყურადღებით მოეპყრობა და საშვალებას მისცემს ღარიბ მოწაფე ქალებს სწავლის შესაძენათ.

✦ ზუგდიდის მაზრის წერა კით. გამავრც. საზ. განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე რომ ნება დართონ ს. ხეთში ეპისკოპოზ ლეონიდის სახელობის წიგნ-საცავ სამკითხველო გახსნან ადგილობრივ მცხოვრების შესარიონ ლატარიას თაოსნობით.

სულიც გამოგაცალოსთ ხელიდან მამათქვენის ქონება და სხვას გადასცეს. დედა თქვენს რომ თქვენთვის სიკეთე არ უნდა, ეს ღმერთმაც იცის და კაცმაც. თქვენ, ამ ადგილების პატრონნი, კაი კაცებს შეგიძლიათ მითხოვდეთ, გინდა აქ იცხოვრებთ, გინდა ქმრებთან. ეს ადგილები თქვენს ხელში იქნება,—დედა თქვენი თქვენთვის არას ზრუნავს. იმას უნდა მის ხელში იყოს მამულიცა და თქვენცა, თორემ ისიც ატყობს, თქვენ რომ გათხოვდებით და თქვენ თქვენს პატრონს ჩაბარდებით, მას შემდეგ მაგას აგრე აღარავინ აპარპაშებს აქანა. თქვენც კარგად ჩაიცვ-დაიხურეთ, დეენახათ კაცს, როგორიც გინდათ, ისეთს გაგირიგებთ, ოღონდაც ერთი ჩაგვიფურჩულეთ. სულ დედა თქვენის მონობაში ხომ არ იქნებით? ოდესმე თავისუფლად უნდა იცხოვროთ,—ასე აგონებდენ ამ ქალიშვილებს ვინც კი მოხვდებოდათ.

ამ სოფლის ახლოს იყო ერთი დიდი ხელუხლებელი მთა. ეს მთა ერთს შეძლებულს თავადს ეკუთნოდა, რომელმაც იჯარით გადასცა დასამუშავებლათ სომეხს. მან ჩვეულებრივ ჩაჰკიდა ხელი ასეთს მოსაგებ საქმეს და მით მუშაობა გააჩაღა. ამ მთიდან მდინარე გამოდიოდა, რომლის სიგრძე 15 ვერსამდე იქნებოდა. ეს მდინარე რკინის გზის პირას მდებარე დიდს მდინარეს ერთვოდა. სომეხმა მდინარის პირას გააკეთა ლარები რკინის გზის სადგურამდე, ლარებზე წყალი გადაუშვა და ამ ლარებზე წაზიდა წყალით დაჭრილი შეშები. შეშები ლარებზე წამოცურდენ და სიალ-სრიალით ერთს საათში, მწყობრად, ერთი მეორეზე მოდევნებით, სადგურზე ჩოგროვდენ. ამ საქმისათვის საჭირო გახდა მუშა ხელი აუარება მუშამ მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ სამი ძმა აზნაურნი გვარად მუქთაძეები. მუქთაძეები ჩვენს ცნობილს ელენტიას ქალიშვილებს, მაშიკოს და ელენკოს, დაუახლოვდენ. ერთმანეთს გაეცნენ, ჯერ შორიდან, მერე ახლოს; გამოცნაურობას გამონათესაობა მოჰყვა და მერმე ხშირად სიარულიც. დღეს, ხვალობით კარგად დაუხვდნენ იგინი ერთმანეთს. მუქთაძეების ბედს ახლა ძაღლი არ დაჰყეფდა

კაი პური, კაი ღვინო, ქალიშვილებთან ლაზღანდარობა, ლოდაუცი. ერთი წლის განმავლობაში ისე დაუახლოვდენ ერთმანეთს, რომ ის დღე დღეთ არ მიაჩნდათ, როცა ერთად არ იყვნენ მუქთაძეები და ქალიშვილები, ჩუმათაძეები (ეს გვარი იყო მათი).

— შე გასაქრობო ვანიჩკა, სათევზაოთ არ წაგვიყვან, ერთხელ რამდენი კალმახი დავიჭირეთ,—შენ ხომ კალმახი არსად დაგემალება, სულით მიაგნებ, თუ სადმეა: ბადეც რომ კაი გაქვს? —ეუბნებოდა მაშიკო ერთ დროს უფროსს ძმას, უქმაძეს და დანაც ემუდარებოდა—უსათუოდ იმ კვირე სათევზაოდ წასულიყვნენ.

— ჩემს ბადეს თქვენთვის როდის სცალია, უკალმახოთიც კარგათ გასძღებით; ქაშაპი, ვენახა, მოლოწითელი, ან წვერა რომ დავიჭიროთ, არ მიირთმევთ? იქნება გულზე დაგადგესთ? ხო, ვინ იცის კალმახის მეტს არა ხართ ჩვეულნი,—ეუბნებოდა მაგიერად ვანიჩკა მას.

— კარგი, ნუ ცი მაგდენი მასხრობა, ახსენე ღმერთი და წავიდეთ ერთი დღისთვის სანადიროთ; ოხ, ღმერთო, რა ნაირად მიყვარს თევზზე ნადირობა. ხანდახან რომ ბადეს გადააგდებ და გამოყვება თევზები, ჩავსვამ თუნგში ცოცხლად, მოუტან დედას. დედა ერთი ლაზათიანად „შემოგვიკურთხებს:" სად ეგდეთ ამდენ ხანს ოქვე ცელქუტებო, მაგრამ მისი ლაპარაკი ფეხებზე გვკიდია, რამდენიც უნდა, იმდენი იყვიროს, რომ ეიდალე ბა არ გააჩერებს დრანჯს.

— აპა კარგი, კვირისთვინ მეცლება, მანამდი დროს ვერ ვიშოვი. კვირისთვინ კაი საგზალი დამიზადე; ჭყლინტი ყველი, მადლარი, ხაჭაპურები და ისეთს ადგილზე მიგიყვან-ყე, რომ თევზის პირას ვერ აუხვალთ.

პაემანი დასდვეს და კიდევაც შეასრულეს პირობა. სანადიროთ წავიდნენ.

ასე ერთობოდენ ისინი. მდინარის კიდეზე რამდენი სიცილ-ხარხარი, მასხრობა, ყიჟინი იყო ვინ მოსთვლის. როდესაც უქმაძეები ქალიშვილებს უჩქმეტდენ, შეიქნებოდა ერთი წივილ-კივილი და „ვინ ხარ მამაცი"-ს. გართობას მერე სხვაც მოყვებოდა...

ეს ამბავი ყურ-მახვილ ელენტიას რას გამოეპარებოდა! ბევრჯერ გაულანძღავს დედას ქალიშვილები. მაგ ხუნტრუცს რაც მოყვება მერე, ადრე იქნება თუ გვიან, თქვენი დასაყენებელი თვალებით გაიგებს, მაგრამ რაღა დროს—ეუბნებოდა დედა მათ.

— თვალიც შენ გამოგძვრა და ყურიც. არა შენმა სიცოცხლემ შენ თუ გიყურეთ, რაღა გვიჭირს, შენ ცხოვრება მოჰმული გაქვს. ორი ქმარი გამოიცვალე. რამდენჯელ მოგივიდა ჩვენი მაზუალი, იმდენჯელ გააბრუნე. ჩვენთვის რომ შენ ხეირი არ გინდა, ეს ჩვენ კაი ხანია გაგებული გვაქვს. ჩვენ იმდენი კი შეგვიძლია ახლა, ჩვენს თავს ვუპატრონოთ, მოვუაროთ, შენი სამადლო არა გვინდა რა. რავარც იქნება ჩვენს საქმროებს ავარჩევთ და გავთხოვდებით. შენ მაგრე იქაჩე, დაჩვეული ხარ. ვინ გაგიძლებს, ძაღლის ყბას გამოიბამ,—მაგიერად მიუგებდენ ქალიშვილები დედას.

(შემდეგი იქნება).

✦ მკვლელობა. 26 ოქტომბერს აჯამეთის ტყეში გზაზე მგზავრებს დაუხვდენ ამ. ანანოვის დარაჯები ინგუშები და მოსთხოვეს სამს მგზავრს ფული. გაჩხრეკის შემდეგ ვერა უნახეს რა. ერთმა მოხუცებულმა უთხრა, რომ თუმცა ვერაფერი წაიღეთ, მაგრამ თქვენ ყველას გიცნობთო. ამის შემდეგ დარაჯებმა მოკლეს ხანჯლით მოხუცი, ერთი დაჭრეს და ერთიც გაიქცა. ავაზაკები პოლიციამ დაიპატიმრა და გუშინ ქუთაისის საგუბერნიო სატუსაღოში მოათავსეს.

ბა, რომ ბრჩილ დალაქიშვილს გუბერნატორმა ნება არ დართო ტყიბულის რკინის გზის შტოზე „პლატფორმის" გასაკეთებლათ ფული შეეკრიბა მთელ ქალაქში, გამოგვრჩა მხოლოდ, რომ ნება დართო შეკრიბოს ფული საფარჩხიის და მწვანეყვავილის მცხოვრებთაგან.

✦ ს. მუხურაში (მორაპ. მაზ.) 20 ოქტომბერს ავაზაკები დაეცენ სახლო გ. კვაკაძეს, წაართვეს 75 მ. და 30 მ. ღირებული ვერცხლს ქამარი. როგორც გამოირკვა, ბოროტ მოქმედება ჩაიდინა მისმა შვილის-შვილმა იპოლიტემ, რომელიც პოლიციამ დააპატიმრა.

## თ ფ ი ლ ი ს ი.

— მეფის მოადგილის სასახლეში. ორშაბათს, 26 ოქტომბერს, მეფის მოადგილის სასახლეში უმაღლეს სადილზე მიწვეულნი იყვნენ: კნეინა ე. ნ. მუხრანბატონისა, კნეინა დ. რ. ჭავჭავაძისა, კნეინა მ. დ. ჭავჭავაძისა და უგანათლებულესი კნეინა თ. დ. გრუზინსკისა.

— მეფის მოადგილის კანცელარიის ახალი დირექტორი სენატორი ისტომინი თბილისს ჩამოვიდა და 26 ოქტომბერს მეფის მოადგილეს მის იმპერატორებით უმაღლესობას დიდს მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს წარუდგა.

— დახმარება სომხთა გადმოხვეწილებს. პეტროგრადის სომეხთა დამხმარე კომიტეტმა 46,500 მან. გამოუგზავნა სომხთა ცენტრალურ კომიტეტს, რომლიდანაც ნახევარი უნდა გადაიდვას თავშესაფარის მოსაწყობათ, ნახევარი კი 1550 გადმოხვეწილ ბავშვთა შესანახათ. იმავე კომიტეტმა 17,000 მან. გამოუგზავნა ბაქოს სომეხთა კომიტეტს ობოლ ბავშვებისათვის თბილი ტანისამოსის საყიდლათ.

— დაჭრილი და დაავად ყოფებული მეომარნი. ამ დღეებში თბილისს ჩამოიყვანეს და ლაზარეთში მოათავსეს შემდეგი ქართველი მეომარნი:

1) მუსურიძე ზაქრო. 2) კოშაძე მათე იოსების ძე. 3) შენგელია ნესტორ 4) შელია გიორგი სვიმონის ძე, 5) ჭუმბურიძე იასონ მალაქძე 6) წერეთელი ევგენი (პრაპორშჩიკი), 7) ხმალაძე ზაქრო ზაქროს ძე, 8) გურგენიძე, 9) ჯაკელარიძე ივანე ვასილის ძე, 10) სავანდელიძე ტრიფონ, 11) მოდებაძე კონსტანტინე იასონის ძე, (პრაპორშჩიკი), 12) რულიშვილი იოსებ გიორგის ძე, 13) სიგუა პლატონ პავლეს ძე, 14) ესიტაშვილი კონსტანტინე მიხაკოს ძე, 15) ასანიშვილი ზაქრო იოსების ძე, 16) წალდაძე გიორგი პეტრეს ძე, 17) არივაძე იასონ იოსების ძე, 18) დოლიძე კაპიტონ ლუკას ძე, 19) აბესაძე მიხეილ ივანეს ძე, 20) უდხაშვილი ილია მიხეილის ძე, 21) წერეთელი მიხეილი ქაიხოსროს ძე, 22) პატარიძე მიხეილ აპტ., 23) გელაშვილი მიხეილ გიორგის ძე, 24) ხოკერაშვილი გიორგი გიორგის ძე.

## ვსდუმდეთ დუმილითა მწუხარებისა!

(სიტყვა ია ეკალაძისა, წარმოთქმული „ილიას საღამოზე, 27 ოქტომბერს, ქალაქის თეატრში.)

**ბატონებო!**

....თუ საჯაროთ ლაპარაკი თავის უბრალო გამოჩინება არ არის, (როგორ გამოჩინებასაც არავითარი ღირებულება არა აქვს;) თუ ენა იმიტომ მიუცია განგებას კაცისათვის, რომ გამოსთქვას თავისი გრძნობანი იმ ჭეშმარიტების განსამტკიცებლათ, რომელიც სარგებლობას მოუტანს როგორც მთქმელს, ისე გამგონეს,—მაშინ ნებას ვაძლევ ჩემ თავს გაგიზიაროთ ზრახვანი ჩემნი, ამ საღამოით გამოწვეულნი.

მოგეხსენებათ, ბატონებო, რომ **დიდ სიხარულსა თუ დიდ მწუხარებას** მუდამ თანა სდევს ხოლმე **დუმილიც**, დუმილი ან უსამზღვრო განცვიფრებით გამოწვეული, ან და დუმილი სიტყვით გამოუთქმელის სასოწარკვეთილებას.

როდესაც მრავალწლობით გატანჯულმა ტარიელმა იპოვნა თავისი ნესტან დარეჯანი, ჭაბუკი იგი,—ეს ოდესღაც მოტირალი და მწარეთ მომთქმელი ჭაბუკი,—უსიტყვოთ გადაეხვია თავის სატრფოს და ამ მდუმარებამ დაჰფარა, შთანთქა აღტაცებული გმინვა მისის გულისა.

ჩვენ,—ქართველებს,—ჯერ ვერ განვიცდით ასეთ დუმილს სიხარულსას, ვინაიდან სასიხარულო მაინც და მაინც ბევრი არა გვაქვს რა!...

ჯერ კიდევ „ოცნება ჩვენის ტანჯულის ქვეყნისა ქვითინებს მაღლა სერზედა!"

ჯერ კიდევ ჭირნახულობა ჩვენის მშრომელი ხალხისა ფეხ-ქვეშ ითელება ულირსებისაგან!...

ჩვენთვის უფრო ჩვეულია **დუმილი მწუხარებისა.**

როდესაც მშობლები მარხავენ ხოლმე თავის პირმშოს, თვის საყვარელ შვილს, სდუმან! სდუმან დუმილითა გამოუთქმელის ტანჯვისა. თვალზე ცრემლ შემშრალნი ყურობენ, ვით მუნჯნი დალულულებენ, ვით უენონი, სახე მათი გადაქცეულა ქანდაკებათ მწუხარებისას.

და ჩვენც,—დამკარგავნი დიდი ილიასი—ძალიან კარგათ მოვიქცეოდით, რომ მის ხსენების დღეს ვიკრიბებოდეთ ხოლმე დუმილით და ვიშლებოდეთ ისევ დუმილით. ეს დუმილი განგვაცდევინებს იმ ცოდვას, რომელიც ჩვენ მიგვიძღვის დიდი მოამაგის წინაშე; იგივე დუმილი გვამცნევს ჩვენ უმწეობას ჩვენის ყოფნისას.

ხშირად უდღეღლო ზარი და ზეიმიც კი შეურაცჰყოფს ხოლმე თვით მიცვალებულს...

მაშ, ვსდუმდეთ დუმილითა მწუხარებისა! ვსდუმდეთ იმიტომ, რომ არა გვეთქმის-რა. ჩვენ არამც თუ დავსტანჯეთ და ვაწამეთ მოზარე „ქართვლის ბედისა"-ო, არამედ დავივიწყეთ კიდეც იმის დიდი—სიცოცხლისა და ამ სიცოცხლის მარადისობის—მომნიჭებელი მცნება.

— გინდა გახდე ღირსეული წევრი საერთაშორისო ოჯახისა და იყო კაცთა შორის კაცად მიჩნეული? იცან თავი შენი. ქართველო, და „იყუდნე თავსა შენსა!" აი ეს მოძღვრება!.. მაგრამ ასრულების ნაცვლად, ჩვენ ეს იდეა დავიქუცმაცეთ, დავაკნინეთ, დავანაწილეთ და მხოლოდ სამამაშო, გასართობ ბურთად გადავაქციეთ!

ვსდუმდეთ დუმილითა მწუხარებისა! ვსდუმდეთ იმიტომ, რომ საკვნესარი ბევრი არა გვაქვს რა: ჩვენ ცარიელ სიტყვებთავე დავსტოვეთ მეორე მოძღვრებაც ილიასი:

> რომ ბედში მეოფი
> შენ ძმათ მიგაჩნდეს,
> ეგ ზერაგერი სიყვარულია!
> სიტყვა ის არის, კაცსა ის უყვარდეს,
> ვინც ბედისგან დაჩაგრულია"-ო.

მაგრამ საქმე ჩვენი ვერ ესაბამება სიტყვასა ჩვენსა, და მოქმედება ჩვენი ჯეროვანათ ვერ უშრობს ცრემლებს ჩაგრულთა, დამაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთ.

ვსდუმდეთ—მეთქი—დუმილითა მწუხარებისა! ვსდუმდეთ იმიტომ, რომ ამ დუმილში ერთი ერთმანეთის გულის ზრახვათა გაღაბმით, გამოვჭედოთ მომავალი ერისა, შეერთებულის ძალით ამოვაშროთ ტბა ბაზალეთისა, ამოვიღოთ მის ძირში ჩაღგმული აკვანი ოქროისა და ხელები ავუხსნათ არტახებიდან იმ ჭაბუკს, იმ გმირს, რომელიც ქართველი ერის ჭირნახულობას შარავანდედით შემოსავს...

მაშინ და მხოლოდ მაშინ მივიდეთ ილიას საფლავთან, ავაფრიალოთ დროშა სიხარულისა და აღტაცებით ჩავძახოთ:

— გიხაროდენ, მოხუცო! ოცნებამან შენგან შეისხა ფრთა და სიტყვანი... ანდერძი შენნი განხორციელდათქო!!..

და მე მრწამს... და მე მჯერა, რომ ილია გაიხსნის შუბლის დარებს, ღვთაებრივის ღიმილით გადმოგვხედავს და გვიპასუხებს:

— გამარჯვება და დღეგრძელობა ქართველ ერს!.. ახლა კი მოისვენა სულმა ჩემმაო!..

და მე მრწამს... და მე მჯერა აგრეთვე ისიც, რომ ჩვენგან წამებული ილია გვაპატიებს ჩვენ დანაშაულსაც, ვინაიდან მამა-მშობელი ერთი ორად შეიყვარებს ხოლმე ოდესღაც უძღებს, მაგრამ ცოდვებისგან გაწმენდილ თავის შვილებს!...

## თეატრი და ხელოვნება.

### „ილიას საღამო",

გამართული ქალაქის თეატრში 27 ოქტომბერს.

ისე, როგორც სხვაგანაც, ქუთაისში ყოველ წლივ იმართება ხოლმე „ილიას საღამო".

წარსულ წლებში ამ საღამოს მართავდა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილება. წრეულს კი ეს საღამო გაიმართა „ქართულ დრამის" მახაიძის მეთაურობით.

საღამო შესდგებოდა ოთხი განყოფილებისაგან.

პირველ განყოფილებაში მოკლე, მაგრამ შინაარსიანი რეფერატი წაიკითხა ახალგაზდა მასწავლებელმა ალ. წერეთელმა. რეფერატი შეეხებოდა ილიას, როგორც **პოეტს.** რეფერენტმა აღნიშნა ილიას ღვაწლი ჩვენს მწერლობაში, დაწვრილებით გაარჩია შინაარსი „განდეგილისა" და სხვა თხზულებათა და ის დასკვნა გამოიყვანა, რომ ილია არის ღრმათ მოაზრე პოეტი, რომლის ენაც მით უფრო მკვეთრი და გამოქანდაკებულია, რაც უფრო შინაარსიანია ესა თუ ის მისი ნაწარმოები.

ახალი და ორგინალური არა უთქვამსრა, მაგრამ კოხტათ დაწერილმა რეფერატმა, გვარიანი შთაბეჭდილება მოახდინა მამენელთა დიდ უმრავლესობაზე. დიდ უმრავლესობაზე—მეთქი ვამბობ იმიტომ, რომ ურწმუნო თომანი და ახირებული გემოვნების ხალხი ჩვენში კიდევ ბევრია და, რასაკვირველია ყველას დაკმაყოფილება შეუძლებელი თუ არა, ძალიან ძნელი მაინც არის.

რეფერენტი კითხულობდა დინჯათ და მკაფიოთ. უნდა შევნიშნოთ მხოლოდ, რომ კითხვა მისი მონოტონური და გაბმითია. კარგი იქნება, რომ პატივცემული რეფერენტი ხანდახან ხმას გამოიცვლიდეს ხოლმე, რაც უფრო სასიამოვნოდ გახდის მის მოსმენას...

მეორე და მესამე განყოფილებაში—წარმოდგენილ იქმნა სცენები „გლახის ნაამბობი"-დან. ჩვენი მსახიობები ჩინებულათ ასრულებდენ თავის როლებს და ერთი მეორეს არ ჩამოუვარდებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. ყალაბეგიშვილი ლუარსაბ თათქარიძის როლში. ნამდვილი „ცხონებული" ლუარსაბი იყო!..

მეორე მოქმედებაში ადგილობრივმა მწერლებმა და მსახიობებმა წაიკითხეს თავისი თუ ილიას ლექსები. ლექსები წაიკითხა ეფ. მეხმა, ნ. გვარაძემ, ი. ზარდალიშვილმა, პ. იაშვილმა, გ. ტაბიძემ, ილ. ეძგვერაძემ, დავით მეხმა წაიკითხა თავისი მოგონება, როდის გაიცნო პირველად ილია და როგორ შეაყვარა მან ქართული მწერლობა. „მოგონება" ლამაზათა და სხარტულათ იყო დაწერილი, ადგილ-ადგილ თავისებური იუმორიც ჩაერთო და საზოგადოება ბევრი აცინა, თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარ საღამოებზე უფრო სერიოზული რამ უნდა იკითხებოდეს.

ბ-ნმა შალვა დადიანმა წაიკითხა მშვენიერი ნოველა ბ-ნ ნ. ლორთქიფანიძისა საგანგებოთ ამ საღამოსათვის დაწერილი.

ყველაზე ბოლოს ია ეკალაძემ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა (ეს სიტყვა დღეს იბეჭდება ჩვენს გაზეთში) და გაიმართა აპოთეოზი ილიას გმირებისა. აპოთეოზი ხელოვნურათ იყო მოწყობილი, თუმცა კარგს იზავდენ, რომ ფარდა ცოტა მეტ ხანს ყოფილიყო აწეული, რომ მაყურებლებს დათვალიერება მოესწროთ.

ხალხი საკმაოთ დაესწრო: აქა იქ მოსჩანდენ აქაურ „დიდი-ინტელიგენციის" წარმომადგენელნიც, რომელიც ჩვეულებრივ წარმოდგენებზე ნაკლებათ დაიარება.

ჩვენ ვამბობთ ხალხი საკმაოთ დაესწრო. მაგრამ ეს არა კმარა. ილიას საღამოს,—თუ სადმე სამართალი და პატივისცემაა—მთელი ქუთაისი უნდა ესწრობოდეს. ამ საღამოსათვის უნდა ვემზადებოდეთ თითქმის მთელი თვეობით და განსაკუთრებული ორგანიზაციები უნდა გვქონდეს.

აქ ვეფაცებოდით ილიას ნეშთს: შენი მოგონება ყოველწლივ დიდი ზეიმით იქნება. რაიქნა, სად გაჰქრა ჩვენი აღთქმა! ეჰ, რა სთქვას კაცმა, გარდა იმ შაბლონურის აზრისა, რომ ჩვენი ინტელიგენცია მხოლოდ სიტყვის ხალხია და არა საქმისა.

რა ღმერთი გაუწყრა აქაური წერ. კ. საზოგ. განყოფილების გამგეობას, რომ ამ საღამოსათვის მაინც ვერ მოიცალა ?! ..

ალბათ სხვა საქმე ჰქონდათ, თუმცა ეს მათი „სხვა" საქმეც ისა სჩანს!..

ყოველ შემთხვევაში, ასე მოკლე დროით და აჩქარებით გამართული საღამო გვარიანი გამოდგა...

**დამსწრე.**

## პროვინციის ცხოვრება.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

**ს. ჩიბათი.** დასრულდა ჰქნახვლის შენახვა. საყოფი სარჩო თითქმის არავის მოსვლია. მთავრობის განკარგულებით, შეუდგენ სიების შედგენას, თუ ვის, რამდენი დახმარება ესაჭიროებათ ჩიბათის კოოპერატივის საქმე ვერ მიდის კარგათ, რადგანაც კოოპერატივმა ჩარჩული ხასიათი მიიღო. წევრები ფიქრობენ გამგეობის გარეშე მოახდინონ კრება და გამოარკვიონ საქმის ვითარება.

**საჩხერის რაიონი** (ზემო იმერეთი) ასეთი მოუსავლობა ადგილობრივ მკვიდრთ არ ახსოვთ. ღვინო სრულებით არ მოსულა. სიმიდი ორი-სამი თვის სარჩო ძლივს მოუვიდათ. საჭიროა შეძლებულმა პირებმა ითათბირონ კოოპერატივის დაარსებაზე და სურსათის მოტანის თაობაზე თორემ ხალხს შიმშილით ამოწყვეტა მოელის. ომის დაწყებამდე თითო-ოროლი გროშს ქიათურაში მუშაობით შოულობდენ. ახლა ესეც მოესპოთ შავიქვის უმუშაობის გამო და რა ბედი ეწევათ დამშეულ ხალხს,—ეს ყველასათვის ცხადია.

**ს. კინოთი.** ეს სოფელი კულტურულიათ ძლიერ ჩამორჩენილია. აქ არსებობს მხოლოდ 2 კლასიანი სამინისტრო სკოლა. ჟურნალ გაზეთობა აქ სრულებით არ მოდის და არც კითხულობენ. სამაგიეროთ დიდი გავლენა აქვს მკითხაობს. ბ. ი. აბაშიძეს ჰყავს ბერი ბებერი და მოუყვანია მკითხავი ქალი, რომელიც, ვითომც ომში ნახულებს ამბავს გებულობს. ხალხი ბუზივით ესევა მკითხავს. თითოეულს 6 შაურს აძლევენ სამკითხაოში. საჭიროა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ვისგანაც ჯერ არის.

**გურია.** თითქმის გურიის ყველა სოფელში გახსნილია სკოლები და სამკითხველოები. მიუხედავად ამისა, ხალხის უმრავლესობა ჯერ-კიდევ განვითარებული არაა. სამკითხველოები მხოლოდ არსებობენ. ხალხი ნაკლებათ სარგებლობს მით, რადგანაც ჟურნალ გაზეთების კითხვას მიჩვეული არაა. საჭიროა ადგილობრივმა ინტელიგენტებმა ხალხი დააინტერესონ ჟურნალ-გაზეთების კითხვით. ძალიან კარგს იზამენ ჩვენი მასწავლებლები, რომ გლეხებს დაუძახებდენ სამკითხველოში წაუკითხავდენ გაზეთებს, აუხსნიდენ დღევანდელ მდგომარეობას. ამ გზით ხალხი ჟურნალ გაზეთების კითხვას მიეჩვევა და თვითონვე შეუდგება გათვითცნობიერების გზაზე.

ასეთი მაგალითი ზოგიერთ სოფელში უკვე შემოუღიათ. ხალხი დიდის ყურადღებით უსმენს გაზეთის წამკითხველს და დღევანდელ საჭირ-ბოროტო საკითხებზე ბჭობას მართავს.

**სოფ. ამაღლება.** (ქვემო იმერეთი.) ამაღლების მხარე შემკულია ბუნების. სიდიადით რომელსაც გარს, აკრავს. ირგვლივ მაღალი მთები და მასთან ძირს კი გაშლილი ველი, რომლის შუა, მიიკლაკნება მჩქეფარე რიონი. მდებარეობა თუმცა კარგია, მაგრამ ცოტა არ იყოს აქაური მცხოვრებლებს. აქ კულტურული წინ წაწევა, მათ აქვს ახლად გახსნილი უმაღლესი სამოქალაქოს სასწავლებელი და პატარა აფთიაქი მასთან არის კიდევ სასოფლო ქსენონი რომლის მეთვალყურეთ და გამგეთ ითვლება ბატ. იოსებ აბრამიძე: ბ. აბრამიძე დახმარებას უწევს. ხალხს და მას არა ერთი და ორი გადაურჩენია სიკვდილისაგან მძიმე ავადმყოფი. როდესაც საავადმყოფოს წამლები გამოლევია, ის ამით არ აბრკოლებს ხალხს, აძლევს საკუთარ ჯიბიდან ფულს და ყოველივე დახმარებას უწევს უფასოთ, განურჩევლად წოდებისა. სოფლის მოამაგე ფერშლები მიბაძავდენ, ბატ. იოსებ აბრამიძის მაგალითს და ამით ცოტაოდენ დახმარებას გაუწევდენ ზოგიერთ ღარიბსა და უწყო მცხოვრებლებს.

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე.**

### მატარებლების მიმოსვლა.

**ქ. ქუთაისს მოდის.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 5 ს. | 50 წ. |
| " | — ღამის | —11 ს. | 30 წ. |
| ბათომიდან | — დილის | —10 ს. | 5 წ. |
| " | — ღამის | — 2 ს. | 23 წ. |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. | 30 წ. |
| ტყიბულიდან | — დილის | — 9 ს. | 38 წ. |
| " | — საღამოს | — 7 ს. | 39 წ. |

**ქ. ქუთაისიდან გადის.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 7 ს. | 55 წ. |
| " | — ღამის | — 1 ს. | 7 წ. |
| ბათომისაკენ | — საღამოს | —10 ს. | — |
| " | — დილის | — 4 ს. | 27 წ. |
| ფოთისკენ | —ნაშუადღ. | — 4 ს. | 14 წ. |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 6 ს. | 40 წ. |
| " | —ნაშუადღ. | — 4 ს. | 20 წ. |


## კოოპერატივების საყურადღებოთ

ვინაიდან სოფლის კოოპერატივებს არ შეუძლიათ ზოგიერთი წვრილმანი საქონელი გამოიწერონ პირდაპირ ადგილიდან, ე. ი., პირველი ხელიდან, ამისათვის ვაცნობებ კოოპერატივებს, რომ ჩემ სავაჭროში შეუძლიათ ყოველგვარი **საბაკალეინო საქონელი შეიძინონ საღავათიან ფასებში**, აგრეთვე შეუძლიათ გაიგონ ყოველივე ცნობა, როგორც საქონლის ფასებისა, აგრეთვე ფირმებისა; ამასთანავე თანაგრძნობით გავუწევთ ყოველგვარ დახმარებას რითაც კი შეგვეძლება.

5—1 **დათიკო ქებაძე.**

## ქ. ქუთაისში

**1 ნოემბრიდან, თბილისის ქ., მ. კვინიხიძის ქალთა პროგიმნაზიის სადგომში,** გაიხსნება **როიალზე სწავლების კლასი.** სწავლა სწარმოებს კონსერვატორიის პროგრამით, კვირაში სამჯერ. სწავლის ფასი დაწესებულია კვირეულ სამ გაკვეთილზე თვეში ხუთი მანეთი, რომელიც წინდაწინ უნდა გადახდილ იქნეს.

ქალ. თეატრში შემდეგ გაიმართება მოწაფეთა საღამო.

ჩაწერა და მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე 8—2 საათ. და 4—6 საათამდე იქვე. თ.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია

## ალექსანდრე ი. კოსტავასი

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსახურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში,** რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

## საპნის გასაკეთებელი „სოდა"

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.


სწრაფლმბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა—ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან